

2022 წლისთვის მასწავლებელთა ხელფასი 2000 ლარს მიაღწევს



დღეს საქართველოს მთავრობამ იყარათ სამონასტრო კომპლექსში განათლების რეფორმის ხელვა წარადგინა.

განათლების სფეროს რეფორმირების შესახებ საქართველოს პრემიერ–მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და განათლების მინისტრმა მიხეილ ბატიაშვიდმა ისაუბრეს.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, მიხეილ ბატიაშვიდის განცხადებით, განათლების რეფორმა მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლების, სკოლის დირექტორებისა და ადმინისტრაციის სახელფასო პოლიტიკას ითვარისწინებს.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, 2018-2019 სასწავლო წელს გაზრდილ ხელფასს მიიღებს 10 000-მდე მასწავლებელი, მათ შორის, სპეციალური მასწავლებლები; 2019-2021 წლებში ხელფასები გაეზრდებათ სკოლის დირექტორებს, ადმინისტრაციულ პერსონალს და გაგრძელდება ხელფასების ზრდა მასწავლებლებისთვის.

2022 წლისთვის კი, მისი თქმით, მასწავლებლის საშუალო ხელფასი მიაღწევს 1500 ლარს, ხოლო უმაღლესი საფეხურის მასწავლებლების ხელფასი – 2000 ლარსა და მეტს.

როგორც რეფორმის წარდგენისას ითქვა, რეფორმა განათლების ხუთივე მიმართულებით გატარდება